




ს ი ა ნ ბ ი



ნახ. ი. გაბაშვილისა

თესვა

— ყოჩაღ, მამაჩემო, ვინ იტყვის რომ ჩვენი ფრონტი და ზურგი არ ემსახურებოდეს მტრებზე გამარჯვების საქმეს.

— ყოჩაღ, ჩემო ბიჭუნავ, აქაც მოწინავე ტრაქტორისტო იყავი და იქაც მოწინავე ტანკისტი ყოფილხარ.



— ეს არის პოლკოვნიკი კრაუზე? ნეტავ რა ქნა მაგის სასწავლო ბრიგადამ. უკვე დაასრულა?
— დიახ,—მხოლოდ არა სწავლა, არამედ სიცოცხლე.

„ბ რ ო ს-კ რ ო ს ი“

თურმე წინეთ, გერმანელ ხალხს—(ჩვენ ვგულისხმობთ ნამდვილ ხალხსა),
ჰქონდა ბევრი გასართობი—ოლიმპიურ სპორტის მსგავსად,

და ამაირ ფიზკულტურას გასავალი ჰქონდა მაშინ,
უფრო კი დიდ მოღაღ უჩნდათ შეჯიბრება გაქცივაში,—

მაშინ „გროს-კროს“ უწოდებდნენ ამ სახალხოდ ქცეულ ჩვევას,
„გროს-კროსი“—კი გერმანულად ნიშნავს მხოლოდ დიდ გაქცივას.

გაქციულებს წაქეზება და ყოინა სდევდა თანა:
— „ჰერი, ჰერი მამაცებო, ვინ წინა და ვინ უკანა!“

*
*
*

თუმც ნაცისტებს კულტურული ადათები არ სწამთ სულა,
მაგრამ მათში „კროსი“ მაინც ჩვეულებად გადმოსულა,

უფრო მეტად კი „გროს კროსი“ იმას აღთვისებია,
ვისაც პიტლერის ლაშქარში გენერლობა ღირსებია,

და საბჭოთა დიდ მიწაწყალს მოსევია დასაპყრობათ,
დაუსახავს ჩვენთან ომი გროს-კროსად და გასართობათ,

და ვინც მათში რბენის ნორმა ჩაბაზა მამაცურათ,
გავიგებთ, თუ გადავხედავთ ორიოდ მეტყველ სურათს:

*
*
*

აი, როსტოვს ყაჩაღურად ნაცისტების არბევს ჯარი,
წინ სარდალი მიუძღვება—კლეისტია მისი გვარი,

მაგრამ მალე შხამად ექცა, მას ნაძარცვავ-ნაჭურდული,
წითელ ლაშქრის გმირულ დარტყმამ, ჩაუღეწა ზურგის ძვალი

და მოუსვა ნაცისტების „უძლეველმა“ ურდომ სწრაფად,
ღიბიანი ფონ-კლეისტიც კირის ოფლში გაიქაფა,

რის როსტოვი, რის კავკასი?... სადღა არის გამარჯვება?
გარბის და თან იღუმალი ხმა რამ ყურში ეწვეთება:

— ჰა, მოცოცხე, ჯერ „გროს კროსი“ არ მინახავს ამისთანა,
ჰერი, ჰერი რაინდებო, ვინ წინა და ვინ უკანა!“

*
*
*

დედა-მოსკოვს რკალავს ცეცხლით ფაშისტების შავი ურდო,
სურს დაიპყროს ქვეყნის გული, სურს გაძარცვოს და გაჭურდოს,

არ ზოგავენ „ფიურერის“ გენერლები ცეცხლს და რკინას,
და მოსკოვის აღებაზე გაჰკვიან წინდაწინა.

აი, ქოდაკ ჰუდერიანს: ტანკის კოშკზე აცოცებულს
ხელში ჰკოვრი უკავია, უძლურ ბრაზით გაცოფებულს

და გასცქერის მოსკოვის გულს, ებჯინება ღელვა ყელში
—და თანა ჰყეფს: ეს მოსკოვიც, ხვალ გვექნება უკვე ხელში,


მაგრამ აი, წითელ ლაშქრის მძლავრი რისხვა, როგორც მეხი,
კვლავ დაატყდათ ავაზაკებს და კვლავ წელში განატენი

შავ ფაშისტის შავი ურდო, როგორც დამფრთხალ მწყურების გუნდი
კვლავ სირბილში ეძებს ხსნას და იარაღს ყრის პანტა-პუნტით.

კვლავ გროს-კროსი გააბნენდათ, გარბიან და ესმით თანა:
— ჰერი, ჰერი რაინდებო, ვინ წინა და ვინ უკანა!..“

გარბიან და დევგმირული ჩვენი დარტყმა მისდევთ თანა,
გარბიან და თვის სიბრიყვეს აწ ხედებიან თანისთანა:

რომ ვერ იხსნის მათ ტრაბანი, ვეღარც „კროსი“ ამისთანა,
საბჭოეთის ხალხთა რისხვა, მათ საფლავშიც მიაჭვთ თანა.



სამხრეთ-დასავლეთის დრონტზე ჩვენ-
მა მებრძოლებმა ტყვე გერმანელებს
შორის აღმოაჩინეს კუზიანი ჰანს ტაუ-
ბერი.

გაზეთებიდან

ნახ. ღონისა

„ფაშისტური გაზეთი „ბერლინერ ბერუნდერი-
ტუნგ“ ამჟღავნებს თავის მკითხველებს განდობილად
სიტყვებით, რომ „თოვლი მონაწილეობდა მტერ-
მა“.

გაზეთებიდან

შეშინებულ ვირთხის მსგავსი,
მუდამ წყნარად, მუდამ კუწვით,
დადიოდა ქვეყნად ჰანსი
ხაშინელი თვისი კუწით.

ო, ნადვლოზდა ჰანსი დიდად,
აფიცებდა ხაწყლად თვალებს.
შას ვაჟაკად არვიმ სთვლიდა,
არ უყვარდათ ჰანსი ქალებს.

მაგრამ აი, აღმოხვედნენ
ამოვარდა ბრძოლის ქარი.
გერმანელებს იქ მუსრს ავლებს
გაშმაგებით ჩვენი ჯარი.

გერმანელი ბევრი ქალი
ქმარს ელის და ქმარი არ სჩანს,
გახილა ჰანსმა თვალი,
ის სოფელში მარტო დარჩა.

ჰანსს დაუდგა სულ სხვა ჟამი,
ჰანსმა იგრძნო თვისი ფასი,
და ქალებში სითამამით
მამადივით დადის ჰანსი.

ბედნიერი ჰანსი არის,
უფროს იღვრებს როგორც გედი.
აღარ ახსოვს შესაბრალოსს,
რომ მაცდური არის ბედი.

და, შა, ჯარში გახაწვევად
ჰანს ტაუბერს დაუძახეს.
მიღებანს სინჯეს, მაგრამ ვერა,
ვერსად ნაკლი ვერ უნახეს.

— შე კუწი მაქვს—ყვირის ჰანსი,
— თქვენხელა იგი ზომით...
მაგრამ უთხრეს: ჩქარა გასწი,
იქ იბრძოლებ, როგორც ღონი.

რას გახდება ჰანსი ურჩი,
საბრძოლველად მიდის შორეთს,
და ჩახაზის ვილაც უურში:
კუწს სამარე გაასწორებს.

აწ გერმანელ უქმრო ქალებს
ცალიერი სახლი დარჩათ.
აფიცებენ ნატვრით თვალებს,
მაგრამ ჰანსიც, ჰანსიც არ ჩანს.


დავით გაჩეჩილაძე

ნაგლევილი მიზანი

ნახ. ღონისა



— ჯერ არც კი დაწყებულია ყინვები და
გერმანელებს გული უსკდებათ სიცივის გამო.
— ხტუიან, ჩვენმა წითელმა არმიამ ისე-
თი ცეცხლი გაუჩადა, რომ სიცივე კი არა
სიცხე აწუხებთ.



— გვამწვიდებენ თოვლი წითელარმიელებსაც ეცემათო, მაგრამ ჩვენ სომ
თოვლის დაცემას არ ვჩივით, არამედ ის გვალონებს, რომ იმათ თოვლი ეცემათ
და ჩვენ ტყვიების კოზს გვაყრიან.

რას იცოდა ლევ გოლსტოი?

15 დეკემბერს ჩვენმა ჯარმა დაიკავა იასნაია პო-
ლიანა, სადაც ცხოვრობდა და დამარხულია ლევ
ტოლსტოი. წასვლის წინ გერმანელებმა გადასწყვი-
ტეს დაეწვათ ტოლსტოის მთელი მუზეუმი. ბარბა-
როსული გეგმის განხორციელებას ხელი შეუშალეს
საბჭოთა აღამიანებმა, რომლებიც შეცვივდნენ
ცეცხლწაკიდებულ შენობაში და დაიწყეს ხანძრის
ჩაქრობა, რომლებმაც წაართვეს ცეცხლს სახლი, სა-
დაც დაიბადა და ცხოვრობდა გენიალური რუსი
მწერალი.

გაზეთებიდან

ლევ ტოლსტოი რომ წამოდგეს
სამარედან,—მკვდრეთით აღსდგეს,—
გაოცდება,—იტყვის:—სად ვარ,
მოვესწარი ნუ თუ ამ დღეს?

ის ხომ ნეტარ ამ ცხოვრებას
სიცოცხლეში არ იცნობდა,—
და რაც ბრძოლით ხალხმა შექმნა,
გენიოსმა რა იცოდა...

გაიფიქრებს: რასაც ვხედავ,
რამაც ასე გამაოცა,—
ნუ თუ ბრძოლის შედეგია?
გამარჯვება ბრძოლამ მოგვცა?

თუ ასეა ბოროტებას
ევბრძოლოთ და ყველგან დავცხოთ,
თვითუფლის გულში ბრძოლის
ცეცხლის ალი არ დავაცხოთ!

მაგრამ ეს კი... ეს ორფეხა
ველურები ვინ არიან?
ჩვენს მიწაზე შემომძვრალან
და ხალხთა სისხლს ტბებით ღვრიან!

განა ასეთ ბოროტებას,—
მათ სიმხეცეს ვინ მოითმენს?
ჩემი გულიც თქვენთან ერთად
მათდამი შურს ველარ იტევს.

და ამ ქვეყნად ეს ფაშიზმი
გაჩენილა ხალხის ჭირად,—
უგჰველათ მათ თარეში
დაუჯდებათ ჩვენში ძვირად.

მეც მზადა ვარ და მომეციოთ
იარაღი ხელში ჩქარა,
მტერს ვადახდეს მაგიერი
სისხლი რაც აქ დაიღვარა.

სანდრო



— ვერ ვხედავთ ამ მიწურში, სიცოცხლე მაკანკალეს. — ეს რა არის წითელი არმიის თუ მოგვადეი, იმეი უფრო აჯაკანკალეს.

— საით გარბიან გერმანელები, პარტიზანებს მიხედვით? — არა, თავის სახედავად გარბიან: მათ პარტიზანები მიხედენ.

ნახ. დონსა

— პურის რა მივახვინო და სანახაობა კი დიდებულ გერმანე ჩვენს ფურცლებს!

„გეგმოსაველი“

— ვერ ვხედავთ ამ მიწურში, სიცოცხლე მაკანკალეს. — ეს რა არის წითელი არმიის თუ მოგვადეი, იმეი უფრო აჯაკანკალეს.

ნახ. დონსა



— ცისტერინიდან პარდაირ უხამენ ლამაზუნა? — არა ლამაზებიან პარდაირ ახმეივინენ ცისტერინში.

ბერბაროსთი

— პარტიზანებს არა მხოლოდ ახანია პოლიციის ზარბაზნული და... ბერბაროსთი უდღესი წიხის ღ ტოლტობის სახელ-მეურვენი.

მივახმადი კი

ფან-შედავებო — ვინაა... ფან-შედავებო — ვინაა... ფან-შედავებო — ვინაა...

სიგის

ფან-შედავებო — ვინაა... ფან-შედავებო — ვინაა... ფან-შედავებო — ვინაა...

სიგის

ფან-შედავებო — ვინაა... ფან-შედავებო — ვინაა... ფან-შედავებო — ვინაა...

სიგის

ფან-შედავებო — ვინაა... ფან-შედავებო — ვინაა... ფან-შედავებო — ვინაა...

სიგის

ფან-შედავებო — ვინაა... ფან-შედავებო — ვინაა... ფან-შედავებო — ვინაა...

სიგის

ფან-შედავებო — ვინაა... ფან-შედავებო — ვინაა... ფან-შედავებო — ვინაა...

სიგის

ფან-შედავებო — ვინაა... ფან-შედავებო — ვინაა... ფან-შედავებო — ვინაა...

სიგის

ფან-შედავებო — ვინაა... ფან-შედავებო — ვინაა... ფან-შედავებო — ვინაა...

პირველი რედაქცია


პირველი რედაქცია... პირველი რედაქცია... პირველი რედაქცია...

პირველი რედაქცია

„შუარის“ ოხნა

და შუარის ოხნა... შუარის ოხნა...


ნახ. კრატკოვსა



ფენიხიხა ვაზარეცა... ფენიხიხა ვაზარეცა...

ფენიხიხა ვაზარეცა... ფენიხიხა ვაზარეცა...

ბავონი ოქავანავები ეპროვანუი



- რა ღირს კაბა?
- ორასი კრონი.
- ქურთუკი?
- ათასხუთასი.
- ხაათი?
- სამასი კრონი.



— ძალიან კარგი!.. შეაზვიეთ.

ენათმეფლობელი



— ერთ ღამეს დავეუფლე სამ „ენას“—სამივე გერმანულს.

გაგახილი შოპის წინ

პიტლერმა ანტონესკუს მოსთხოვა დაბრუნებით სული დივიზია აღმოცენდეს ფრონტისათვის.

ანტონესკუ ელოდა სახელსა და დიდებას „ფიურერის“ წყალობას, მკერდზე ჯვრის დაკიდებას. მაგრამ მცდარი გამოდგა ანტონესკუს ფაფხური, ჩვენს მხარეში მაგარი მიაყოლეს პანდური. და საბრალო გენერალს ამოუფრდა გულია, ცრემლებით სთქვა: ვიგრძენი საქმე წაგებულა, გამოშქუსლა სახლისკენ დატვირთულმა დარდებით, მაგრამ არც იქ შემოხვდნენ იებით და ვარდებით. მაშინ ტრანსილვანია მოიგონა მწუსარედ სთქვა: „გამპარცვეს და მე კი აქა ვზვიარ მფუშარედ შეუთვალა „ფიურერს“—ჩემწედაც იზრუნეთ უნგრეთს ჩემი რაც მიეც, უკან დამბრუნეთ, თორემ ვფიცავ საბაოს თიფთიკივით წვერსაო, რომ ბრძოლაზე ხელს ვიღებ, აღარ ვფიქრობ პეგრსაო. პასუხიც „ფიურერმა“ აღარ დაუგვიანა, ახალი დავალებით გული დაუზიანა, შეუთვალა: შეკრიბე დივიზია ხუთით, საბატაკოთ გეძლევა სამიოდე წუთით, თუ კვლავ გაჯიუტდები, ამოიღებ ხმაო, პირდაპირ ფოჯოხეთში გაგამგზავრებ წამსაო. ანტონესკუმ გაიგო,—რაღა საკითხავია,— რომ ფიურერ აღიას დარდი სულ სხვა ფაფავია, ანტონესკუს დარდი კი სხვა ფაფავია წყურთა და გატენილ გობის წინ ზის ცრემლებმორეულთ.

დ. ჯავახიშვილი

ისრები

მცირე „წვრილმანი“

„შებელსმა თავის უკანასკნელ გამოხველაში განაცხადა, რომ გერმანიის არმიას ფრონტზე უხდება „მცირე-ოდენი გაჭირვების გადატანა, როგორცაა სიცოცხე, სახლიდან წერილების დაგვიანებით მიღება და სხვ.“

გაზეთებიდან

ნაცისტთა ლეგიონები ძლეული ნუ კი გგონიათ, მათ მხოლოდ ფრონტზე „მცირედი“ სიმწელები ჰქონიათ:

სიცივისაგან გათოშვა, შიმშილი, ჭუჭყი, მკენარი, დღისით და ღამით შიშის ქვეშ ყოფნა, სულ მოუსვენარი,

სახლიდან უიმედობა. ფრონტიდან — უარესია „ბლიცკრიგის“ ნაცვლად, გაქცევა ვით ნაცემ ძალთა წესია.

მაგრამ ეს მართლაც მცირეა და ერთობ მცირეც, იმასთან, რაც ჩვენი მედგარ ლარტყმისგან შავი დღე ადგათ იმათა

და ეს „ბატარა წვრილმანი“ „დავიწყებია“ ჰებელსმა — ფაშისტთა უძლეველობის იხების გამომშვებელსა.

ს. ომასიძე

რეინალ ჯარისკაცის დასკვნა



- რაო ძმობილო, ტყვედ მოდიხარ?
- არა, ტყვეობიდან მოვდივარ.



— ექიმო, მე ხომ ცალი თვალი არა მაქვს, რატომ მთვლით ვარჯისად?

— ვერა ხედავ იმ მამაც მებრძოლს: მებრძოანი კუში აქვს და შაინც ხმას არ იღებს, შენ კი მაგ პატარა თვალის შესახებ ლაპარაკობ?



პურის გასაჭაფავად იბრძოდნენ „მეომრები“, მაგრამ დავსცხეთ, გარბიან ცარიელი ტომრებით.

ერზას-მეომრები

სიმბოლიზაციო პუნქტში სიცალიერებ. კაცმა რომ სთქვას, შიგ გაჩერებაც ძნელია: ერთობ ცივა, რადგან ფიურერს სათბობის მრასამარაგებლად არ სცალია.

პუნქტში არიან: პუნქტის უფროსი, გესტაპოს წარმომადგენელი და ექიმები. ისინი სხედან და ფიურერის დირექტივას ასრულებენ: საჭიროა შევსებულ იქნას დანაკლისი აღმოსავლეთის ფრონტზე, სადაც ერთობ შეთხელდა ჭოფაქი—რაინდების დავიზიები. კომისია სათითაოდ იძახებს ახალ მებრძოლებს, რომლებიც ეზოში არიან თავმოყრილი.

- გავიყინე!.. შემოიტანეთ შეშა!—ბრძანებს უფროსი.
- შეშა დიდი ხანია არ გახლავთ... ერზაცს ხომ არ ინებებთ?
- იყოს ერზაცია!..

მსახურს მოაქვს ერზაც-შეშა, რალაც მიწისა და ნეხვის ნარევი მასა და ლუმელში ადგებს, რის შემდეგ დაჩაბაში შემადრწუნებელი სუნი დვას. ფერ-შალ ქალს გული მისდის. მას ერზაც—ოდეკოლონიტ ანუ ძმრისმავგარი სითხით აბრუნებენ.

— დაიწყეთ!—ბრძანებს გესტაპოს წარმომადგენელი, რომელიც ერზაც-ცხვირსახოცით იწმენდს ნამდვილ ცხვირს. იწყება მობილიზებულთა გამოძახება. მოდის ახალი შევსება. შემოჰყავთ ძალიან დაბალი, ჯუჯა წვევამდელი კომისია ამბობს, რომ იგი ვერ გამოდგება არაჩვეულებრივი სიმოკლის გამო.

— არა უშავს!—ამბობს უფროსი—ფრონტზე პატარა კაცი უკეთესია: ტყვია ადვილად ვერ მიაგნებს, ჩარიცხეთ!

შემოდის მეორე, არაჩვეულებრივად გამხდარი და მალალია. ფეხზე ძლივს დვას. საექიმო კომისია იწუნებს, როგორც მეორე სტადის ტუმბერკულოზიანს.

— ეგ არაფერი, აქ მოკვდება თუ ფრონტზე, სულ ერთია! ჩარიცხეთ! ეს ვილა?

- ეს ცალფეხია.
- იყოს. შოფერად გამოდგება. შოფერებს სიარული არ სჭირდებათ. შემდეგი!

კომისია სინჯავს შემდეგს და მოახსენებს უფროსს, რომ ამ სუბიექტს ისეთი სხეულება აქვს, რომ აღმართში ასვლა არ შეუძლია.

— მერე რა? იქ სულ დაღმართებია. აღმართზე მანქანით ავა. ჩარიცხეთ!

— ამას გული აღმოაჩნდა სუსტი. სულის ხუთვა აქვს!—მოახსენებს ექიმი.

— გულია? მაგას მნიშვნელობა არა აქვს. აღმოსავლეთის ფრონტზე სუფთა პატარა და ხუთვა გაუღლის. ჩარიცხეთ! ესა?

— ეს ჯანსაღია, მაგრამ კბილები არა აქვს. ერთი კბილიც არ შერჩენია.

— მით უკეთესი: საუმელი მინც არ არის, ჩარიცხეთ!

მეთემ ცნობა წარადგინა, რომ იგი ეპილეპტიკი, ანუ ბნელიანია.

— ბნელიანობით ნუ გვაკვირვებთ! ბნედა რომ ხელს უშლიდეს... იგი აღარ ამთავრებს, ვინაიდან აქ ყველამ იცის, რომ თვით ადოლფ ჰიტლერი პირველხარისხოვანი ბნელიანია.

მეთერთმეტე ილიოტი აღმოჩნდა. ერთავად ილიმება და კითხვებზე პასუხს ვერ იძლევა. ირკვევა, რომ იგი გასწირეს საგუფთოდან განკურნების იმედის დაკარგვის გამო.

— ილიოტია?—ამბობს გესტაპოელი.—მით უკეთესი. ვითარების შეგრძნობა არა აქვს? მისწრება ყოფილა! ჩარიცხეთ!

აქ ისიც ყველამ იცის, რომ თავის დროზე ჰიტლერიც და ჰერინგიც საგუფთოში ძსნდნენ და მათი შორჩენის იმედი ახლაც არავის აქვს.

შემოდის ყრუ. მას უფარვისად ცნობენ.

— არაფერიც!—ცხარობს გესტაპოელი.—ფრონტზე ყრუ სჯობს: ზარბაზნების გრიალს ვერ გაიგონებს და აღარ შეშინდება. ჩარიცხეთ! შემდეგი!

— ეს ქეციანი გახლავთ! ჯარში საშიშია—სხეებს გადასდებს.

— ქეციანი? მაგათთვის ცალკე ვაგონი გვაქვს, იქ მოგათავსებთ. ქეციანი ფრონტზე უკეთესია: ვერაფერს გაეკარება ახლოს. ჩარიცხეთ!

— შენ რა გვარი ხარ?

გაწვეული სდუმს.

— რა გვარი ხარ მეთქი!

იგი არაფერს ამბობს.

— ნება მომეცით მოგახსენოთ, რომ ეს კაცი მუნჯი გახლავთ და მეომრად არ გამოდგება!

— მუნჯიო? მუნჯი დიდებულია! ყვირილს არ დაიწყებს! ჩარიცხეთ!

გამოძახება გრძელდება. სრულფასოვან არიელთა ნაცვლად ნახევრად-შემოლილი ფიურერი აგროვებს ერზაც-მეომრებს—ნახევრად-ბრმებს, კუზიანებს, კოკლებს, წელკავიანებს, პაპასკირიანებს, ქეციან და ბრუტიან არიელებს, რათა ახალმა ერზაც-ბატალიონებმა შესცვალონ სრულფასოვანი ბანდიტები, რომლებმაც აღმოსავლეთის ფრონტზე დაამთავრეს თავიანთი სამარცხვინო სიცოცხლე.

რატომაც არა ერზაც-ბატალიონებმა იქნებ უკანგაქცევა წინამოადვილებზე ნაკლებად არ შესძლონ!

აღ. მალულარია

„ქლავამოსილი“ მოცოხხე

ნ.მ. ნადარეწველიძე.



შაუისტი სარდალი:—დასწერეთ, რომ ჩვენმა ძღვევამოსილმა ჯარმა წითელი არმია ახი კილომეტრის მანძილზე რბენით ა
კორესკონდენტი:—თქვენ რატომღა გარბინართ?
შაუ. სარდალი:—როგორ თუ რატომ? წითელი არმია კვლავ რბენით მოგვდევს.